

აბრეშუმის პარკის ნაპერტყულისგან გამწმენდი მოწყობილობა

გამოგონება განეკუთვნება მეაბრეშუმეობას და აბრეშუმის მრეწველობას, კერძოდ, აბრეშუმის პარკის ნაპერტყულისგან გამწმენდი მოწყობილობებს.

ცნობილია აბრეშუმის პარკის ნაპერტყულისგან გამწმენდი მოწყობილობა [1], რომელიც შეიცავს მკვებავ მოწყობილობას, მოძრავ სამუშაო ორგანოებს, რომლებიც განლაგებულია სატრანსპორტო მოწყობილობაზე და დაკავშირებულია ამძრავთან. სატრანსპორტო მოწყობილობა შესრულებულია დოლის სახით რადიალური ღარებით, რომლებშიც განლაგებულია გორგოლაჭები. გარსაცმის შიგა ზედაპირზე ჩამონტაჟებულია ფოცხები, რომლის კბილები მოთავსებულია ლილვაკებს შორის. ლილვაკების, დოლის ამონადარებში, რადიალური გადაადგილების საშუალებას აქვს კოპირი, რომელიც დამონტაჟებულია დოლის ლილვის ტორცებზე.

აღნიშნული გამოგონების ნაკლია კონსტრუქციული სირთულე, დიდი გაბარიტული ზომები და აქედან გამომდინარე, მოწყობილობის მაღალი თვითღირებულება.

გამოგონების ტექნიკური შედეგია მოწყობილობის კონსტრუქციული და ექსპლუატაციის სიმარტივე, პარკის გაწმენდის მაღალი ხარისხი და მოწყობილობის დაბალი თვითღირებულება.

ტექნიკური შედეგი მიიღწევა იმით, რომ აბრეშუმის პარკის ნაპერტყულისგან გამწმენდი მოწყობილობა შეიცავს შედუღებული კონსტრუქციის ჩარჩოს, რომელზეც დამაგრებულია დაფა გასაწმენდი პარკის მისაღებად, დაფის შუა ნაწილში თარაზულად განლაგებულია და საკისრების საშუალებით ჩარჩოზე დამაგრებულია ჯაგრებიანი დოლი ისე, რომ დოლის მთელ სიგრძეზე მისი სექტორის სამუშაო ნაწილი განლაგებულია დაფის ზედაპირის ზემოთ. დოლზე ჯაგრები განლაგებულია თანაბარი ინტერვალით განლაგებულ წრეებზე, რომელთა შორის გადის სავარცხელას კბილები, ხოლო თვით სავარცხელა განლაგებულია დოლის არასამუშაო სექტორში და უძრავად დამაგრებულია დაფაზე.

აბრეშუმის პარკის ნაპერტყულისგან გამწმენდი მოწყობილობა წარმოდგენილია 1 ფიგურით, რომელზეც გამოსახულია მოწყობილობის საერთო ხედი.

აბრეშუმის პარკის ნაპერტყულისგან გამწმენდი მოწყობილობა შეიცავს შედუღებული კონსტრუქციის ჩარჩოს 1, რომლის ზედაპირზე საკისრების საშუალებით დამაგრებულია ჯაგრებიანი 2 დოლი 3, ხოლო მის ორივე მხარეს განლაგებულია და ჩარჩოზე დამაგრებულია დაფა 4, გასაწმენდი და გაწმენდილი პარკის დროებით განსათავსებლად. დოლზე 3 ჯაგრები 2 ჩამაგრებულია თანაბარი ინტერვალით განლაგებულ წრეებზე (დოლის მართობ სიბრტყეებზე). ჯაგრებს 2 შორის განთავსებულია სავარცხელას 5 კბილები 6, ხოლო თვით სავარცხელა 5 განთავსებულია დოლის არასამუშაო ზოლში და მიმაგრებულია დაფაზე 4. დოლის 3 გასწვრივ ქვედა მხარეს განთავსებულია ნაპერტყულის მიმღები ყუთი 7.

აბრეშუმის პარკის ნაპერტყულისგან გამწმენდი მოწყობილობა მუშაობს შემდეგნაირად: ნაპერტყულისგან გასაწმენდი პარკი თავისი ტარით (ნახაზზე არაა მითითებული) იდება დაფაზე 4 დოლის 3 ბრუნვის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეს. ჯაგრებიანი 2 დოლი 3 ბრუნავს ხელით ან ელამძრავით (ნახაზზე არაა მითითებული), მომსახურე პერსონალი დაფიდან 4 ან ტარიდან გამოყოფს გასაწმენდი პარკის გარკვეულ რაოდენობას, რომელსაც განათავსებს ჯაგრებიანი 2 დოლის 3 სამუშაო ზონაში, სადაც ჯაგრის 2 ბოლოებით წარიტაცება ნაპერტყული, რომელიც წამოეცმება სავარცხელას 5 კბილებს 6 და ცილდება ჯაგრებს 2. რადგან ჯაგრებიანი 2 დოლი 3 განუწყვეტლივ ბრუნავს სამუშაო პროცესის დროს, და შესაბამისად, ჯაგრები 2 განუწყვეტლივ გადის სავარცხელას 5 კბილებს 6 შორის, ჯაგრები 2 სისტემატურად იწმინდება. რადგან სავარცხელას 5 კბილები 6 საკმაოდ მაღალია, ნაპერტყული ვერ ჩერდება მასზე და ვარდება ქვემოთ მიმღებ ყუთში 7.


ჯაგრის 2 დასამზადებელი მასალის შერჩევა ხდება ისე, რომ პარკის გაწმენდისას ადგილი არ ჰქონდეს პარკზე აბრეშუმის ძაფის დაზიანებას და გაწყვეტას.

გამოგონების ფორმულა

აბრეშუმის პარკის ნაპერტყულისგან გამწმენდი მოწყობილობა, რომელიც შეიცავს შენადულ ჩარჩოს, განსხვავდება იმით, რომ ჩარჩოზე დამაგრებულია დაფა გასაწმენდი პარკის მისაღებად, დაფის შუა ნაწილში თარაზულად განლაგებულია და საკისრების საშუალებით ჩარჩოზე მიმაგრებულია ჯაგრებიანი დოლი ისე, რომ დოლის მთელ სიგრძეზე მისი სექტორის ნაწილი განლაგებულია დაფის ზედაპირის ზემოთ, დოლზე ჯაგრები ჩამაგრებულია თანაბარი ინტერვალით განლაგებულ წრეებზე, რომელთა შორის გადის სავარცხელას კბილები, ხოლო თვით სავარცხელა განლაგებულია დოლის არასამუშაო სექტორში და უძრავად დამაგრებულია დაფაზე.

რეფერატი

მოწყობილობა შეიცავს ჩარჩოს 1, მასზე დამაგრებულ დაფას 4, დაფის შუა ნაწილში თარაზულად განლაგებულ და საკისრების საშუალებით ჩარჩოზე მიმაგრებულ ჯაგრებიან 2 დოლს 3. დოლზე ჯაგრები ჩამაგრებულია თანაბარი ინტერვალით განლაგებულ წრეებზე, რომელთა შორის გადის სავარცხელას 5 კბილები 6.



ფიგ. 1.